# მეწარმეთა შესახებ კანონში შესული 10 მნიშვნელოვანი ცვლილება

01 იანვარი, 2022

2022 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია. აღნიშნული ახალი რედაქცია გვათვაზობს, რიგ არსებით ცვლილებებს, რომლის ძირითადი მიზანი პარტნიორების შემდგომი ურთიერთობის დეტალიზაცია და შესაძლო დავების მინილიზაცია, რასაც აქამდე  მოქმედი კანონის რედაქცია ვერ უზრუნველყოფდა. ასევე, ახალი კანონის მიზნად დასახულიაა შპს-ში კაპიტალის მოზიდვის გამარტივება, რაც ნებადართული წილების დასაშვებობასა და წილების განსხვავებული კლასების გამოშვების შესაძლებლობაში გამოიხატება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთავაზობთ მეწარმეთა შესახებ კანონში შესული 10 მნიშვნელოვანი ცვლილებას:

# ცვლილება

1. სადამფუძნებლო შეთანხმება

2. წესდება

3. საფირმო სახელწოდება

4. შპს-ს კაპიტალი

5. შპს-წილები

6. საქმიანი წერილი. ვებ-გვერდი

7. შეტყობინების ჩაბარება

8. კომპანიის ხელმძღვანელი პირი/პირები

9. რეორგანიზაცია

10. სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტა

# 1.

# სადამფუძნებლო შეთანხმება

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით, სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციისთვის საჭიროა ერთიანი დოკუმენტის წარდგენა, რომელსაც კანონპროექტი „სადამფუძნებლო შეთანხმებას“ უწოდებს. სადამფუძნებლო შეთანხმება თავის თავში მოიცავს

საზოგადოების წესდებას და კანონით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას. ამ თვალსაზრისით, ახალი კანონი შემდეგ მიდგომას ემყარება: წესდება უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების ერთგვარი კონსტიტუცია, რომლის ცვლილების საჭიროებაც იშვიათად უნდა დადგეს. ამასთან, ახალ კანონს შემოაქვს სტანდარტული წესდების ინსტიტუტი, როგორც შაბლონური, არაინდივიდუალიზებული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება და რომელიც, პარტნიორების სურვილისამებრ, შეიძლება შესაბამისი ფორმის სამეწარმეო საზოგადოებაზე გავრცელდეს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, წესდებისადმი წაყენებული მინიმალური ინფორმაციის მოთხოვნა მხოლოდ ისეთ საკითხებს შეეხება, რომლებიც არ ახდენს საზოგადოების ინდივიდუალიზებას, ხოლო შედარებით ცვალებადი, არამარეგულირებელი ფუნქციის მატარებელი ის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ სამეწარმეო საზოგადოებასთან არის დაკავშირებული (მაგალითად, საფირმო სახელწოდება, პარტნიორების და დირექტორის ვინაობა და სხვ.), წესდების მიღმა, სადამფუძნებლო შეთანხმების სხვა ნაწილში იქნება მოცემული.

# 2. წესდება

ახალი კანონის რედაქციაში ვხდებით სტანდარტული წესდების ცნებას, რომელიცარის საზოგადოების სამართლებრივ ფორმაზე მორგებული, არაინდივიდუალიზებული ტექსტი.

სტანდარტულ წესდებებს, საზოგადოებების ფორმების მიხედვით, დაამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. კანონი ადგენს სამეწარმეო საზოგადოების წესდების, როგორც სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილის, მინიმალურ შინაარსს და შემოიფარგლება სამი მონაცემით: სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი და წილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული მინიმალური რეგულაციების მიღმა, პარტნიორები თავისუფლები არიან წესდების შინაარსის განსაზღვრაში.

შესაბამისი ფორმის საზოგადიების სტანდარტული წესდების გამოყენება თავად ამ საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა სურვილზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორებს სურთ სტანდარტული წესდების გამოყენება, მათ ამის შესახებ სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა აღნიშნონ. შესაძლებელია სტანდარტული წესდების მხოლოდ სრული სახით გაზიარება; მასში რაიმე სახის ცვლილების შეტანისას იგივე წესები გავრცელდება, რაც საზოგადოების მიერ დამოუკიდებლად შედგენილი წესდების წარმოდგენის შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თუნდაც პარტნიორებმა შემუშავაონ ახალი არასტანდარტული წესდება, კომპანიის რეგისტრაციისათვის მაინც საჭიროა ახალი კანონით შემოთავაზებული სიახლის კერძოდ სადამფუძენბლო შეთანხმების არსებობა.

# 3.
# საფირმო სახელწოდება

კანონის ახალ რედაქციაში, მოცემულია საფირმო სახელწოდების შერჩევისა და გამოყენების პრინციპი. ძველად მოქმედ კანონში არსებული რეგულაციებისგან განსხვავებით, კანონის ახალი რედაქცია ადგენს, რომ როგორც ინდივიდუალური მეწარმის, ისე ყველა სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდება შესაძლოა იყოს ფანტაზიის ნაყოფი და სავალდებულოდ არ შეიცავდეს ინდ-მეწარმის ან პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის სახელს. ამასთან, ახალი კანონი აწესებს საფირმო სახელწოდების ქართულ ენაზე გამოსახვის ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამო დღეისათვის არსებობს სამეწარმეო საზოგადოებები, რომლებსაც აქვთ იდენტური საფირმო სახელწოდება. ახალი კანონი აზუსტებს, რომ საფირმო სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული მეწარმის საფირმო სახელწოდებას. თუმცა, სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში დამატებითი სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ეს დანაწესი ამოქმედდება მხოლოდ 2022 წლის 01 იავრიდან ანუ, ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ რეგისტრირებულ საზოგადოებებსა და ინდმეწარმეებზე, ხოლო კანონის ძალაში შესვლამდე რეგისტრირებულ სამეწარმეო საზოგადოებებსა და ინდმეწარმეებზე ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში გავრცელდება, თუ ისინი შეიცვლიან საფირმო სახელწოდებას.

# 4.
# შპს-ს კაპიტალი

ახალი კანონის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს შპს-ში კაპიტალის მოზიდვის გამარტივება. შესაბამისად, კაპიტალის სტრუქტურა უფრო მოქნილია და ის სს-ის კაპიტალის ძირითად ნიშანთვისებებს იზიარებს, რაც ნებადართული წილების დასაშვებობასა და წილების განსხვავებული კლასების გამოშვების შესაძლებლობაში გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი ერთმანეთისგან მიჯნავს კაპიტალის ტიპებს. „განთავსებული კაპიტალი“ ეწოდება თანხობრივ ოდენობას, რომელზეც თანხმდებიან დამფუძნებელი პარტნიორები და მიუთითებენ სადამფუძნებლო შეთანხმებაში. სააქციო საზოგადოების (სს) გარდა, განთავსებული კაპიტალის არსებობა არ არის სავალდებულო სხვა ფორმის სამეწარმეო საზოგადოებებისთვის. მაგალითად, შპს მიერ განთავსებული კაპიტალის არსებობისას იგი თავისუფალია მისი ოდენობის განსაზღვრაში. განთავსებული კაპიტალის არსებობის ერთადერთი წინაპირობა ის არის, რომ იგი არ უნდა იყოს განთავსებული წილების ნომინალურ ღირებულებათა ჯამზე ნაკლები, ხოლო თუ განთავსებულია როგორც ნომინალური, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები - უნდა აღემატებოდეს მას.

# 5. შპს-წილები

ახალი კანონი ითვალისწინებს შპს-ის კაპიტალის დაყოფას განთავსებულ, გამოშვებულ და ნებადართულ წილებად. ამით შპს-ს დაემატა სააქციო საზოგადოების მსგავსი მექანიზმი. ასევე შპს-ს შესაძლებლობა აქვს, გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები. ასევე, საწარმოს შეუძლია ჰქონდეს განთავსებული კაპიტალი.

## განთავსებული წილი

წილი განთავსებულად მიიჩნევა, თუ ის გასცა შპს-მ სხვა პირზე გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, მიღებული აქვს თუ არა ამ საზოგადოებას ეს საზღაური. განთავსებული წილი უნდა განვასხვავოთ განთავსებული კაპიტალისგან, რომლის მთავარი ფუნქცია დაფუძნებისას საზოგადოების საწყისი კაპიტალის ფორმირებაა (ე.წ: საწესდებო კაპიტალი (statutory capital, legal capital, charter capital, subscribed capital) და მხოლოდ სააქციო საზოგადოების შემთხვევაშია სავალდებულო.

## გამოშვებული წილი

წილები, რომელთა განთავსების შესახებ გადაწყვეტილებაც პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით განსაზღვრულმა ორგანომ მიიღო ან პარტნიორებმა მიიღეს. გამოშვებული წილები რეესტრში აღირიცხება და განთავსებამდე უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს. წილების განთავსებას ახორციელებს შპს-ის ხელმძღვანელი.

## ნებადართული წილი

წილი, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლოა მომავალში იქნეს გამოშვებული და განთავსებული. ნებადართული წილის ოდენობა, კლასი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში შესაბამისი წილი, აგრეთვე მისი ნომინალური ღირებულება (თუ ასეთი ღირებულება დადგენილია) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაში უნდა აისახოს.

# 6. საქმიანი წერილი. ვებ-გვერდი

ახლი კანონი აწესებს იმ მინიმალურ ინფორმაციას, რომელიც საქმიან წერილზე და საზოგადოების ვებ-გვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს დატანილი. ეს მონაცემებია:

- საფირმო სახელწოდება;
- იურიდიული მისამართი;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სახელი და გვარი.

აღნიშნული რეგულაცია ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის 26-ე, 35-ე და 39-ე მუხლებთან დაახლოებასთან ერთად, მიმართულია უკეთესი სამეწარმეო პრაქტიკის დამკვიდრებისა და იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ მესამე პირებმა მარტივად მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ საზოგადოებასთან აქვთ ურთიერთობა და ვინ არის ამ საზოგადოების წარმომადგენელი. ეს ნორმა ასევე მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე, რომელმაც აღნიშნული მოთხოვნის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა დაადგინოს. ამ მოთხოვნის დარღვევისთვის ადეკვატური სანქციის დაწესება ასევე ევროკავშირის 2017/1132 დირექტივის მე-40 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, შესაბამისად კომპანიებს მათ ვებგვერდზე მოუწევთ საქმიან წერილში არსებული მომაცემების მითითებაც.

# 7. შეტყობინების ჩაბარება

ახალი კანონი ადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მეწარმისათვის გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარების წესს და ითვალისწინებს, რომ შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მეწარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს. აქვე მოცემულია იურიდიული და ელექტრონული მისამართების განმარტება. კერძოდ, იურიდიულ მისამართად მეწარმემ მარეგისტრირებელ ორგანოში უნდა მიუთითოს ის ფაქტობრივი მისამართი, რომელზეც შესაძლებელია საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობა და რომელზე მისული შეტყობინებაც ჩაბარებულად ჩაითვლება.

რაც შეეხება ელექტრონულ მისამართს, ახალი კანონი მას განმარტავს, როგორც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ერთიანი ელექტრონული პორტალის ფარგლებში მეწარმისთვის მიკუთვნებულ მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდს. ამ მხრივ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ხალი კანონი აიზიარებს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის პრაქტიკას, რომელიც წარმატებით არის დანერგილი საქართველოში.

# 8. კომპანიის ხელმძღვანელი პირი/პირები

ახალ მეწარმეთა შესახებ კანონში პირდაპირ აღარ არის მითითებული დირექტორის თანამდებობა და მის ნაცვლად ვხდებით ხელძღვანელი პირის მცენბას, რომლისდანიშვნის ჩვეულებრივ წესთან ერთად ახალია კანონი ითვალისწინებს პარტნიორის განცხადების საფუძველზე ხელმღვანელის დანიშვნას სასამართლოს მიერ, თუკი საზოგადოების პარტნიორებს შორის არსებული გამოუვალი სიტუაციის ან სხვა გარემოების გამო, თავად პარტნიორები ვერ ნიშნავენ ხელმძღვანელი ორგანოს წევრს.

ახალი კანონი ნორმატიულ დონეზე აწესრიგებს საერთაშორისო და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრებულ გამიჯვნას, ერთი მხრივ, ხელმძღვანელი ორგანოს წევრის დანიშვნას/გათავისუფლებას, როგორც კორპორატიულსამართლებრივ აქტსა და, მეორე მხრივ, ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებას/მოშლას, როგორც ვალდებულებით სამართლებრივ გარიგებას, შორის. სხვა საკითხებთან ერთად, სათანადო მუხლები ადგენს, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრის დანიშვნა და გათავისუფლება შესაბამისი ორგანოს სრულ დისკრეციას მიეკუთვნება და ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ბათილია.

რაც შეეხება ახალი კანონით შემოთავაზებული კიდევ ერთ სიახლეს სასამსახურო ხელშეკრულებას, მასზე, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებაზე, ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი წესები

# 8.

ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, რომლებიც დამატებით აკონკრეტებს, რომ სასამსახურო ხელშეკრულება არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას. რაც შეეხება ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, კანონპროექტის თანახმად, ეს უფლებამოსილება შეუზღუდავია მესამე პირებთან ურთიერთობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირმა იცოდა ამ შეზღუდვის არსებობის შესახებ.

ასევე ახალი კანონი  აწესრიგებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა კორპორატიულ მოვალეობებს და რაც მნიშვნლოვანია ახალი კანონი დეტალურად აწესრიგებს კონკურენციის აკრძალვას, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოს წევრს უკრძალავს სამეწარმეო საზოგადოების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა სამეწარმეო საზოგადოება, ასევე უკრძალავს, იყოს მსგავს სფეროში მოქმედი სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ან დადებული გარიგებიდან მიღებული ან მისაღები სარგებლის დათმობის უფლებას;

ახლი კანონით დგინდება ასევე საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელი ორგანოს წევრს ეკრძალება, სამეწარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე პირადი

# 8.

სარგებლის მისაღებად გამოიყენოს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ის საქმიანი შესაძლებლობა, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, შესაძლებელია სამეწარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი ყოფილიყო. აღნიშნული წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ან დადებული გარიგებიდან მიღებული ან მისაღები სარგებლის დათმობის უფლებას; აღნიშნული წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ასევე, გაიზარდა კონკურენციის წესის მოქმედების შესაძლო ვადა 3 წლამდე, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ. კონკურენციის წესი ხელმძღვანელი ორგანოს წევრს უკრძალავს სამეწარმეო საზოგადოების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა აღნიშნული საზოგადოება, ასევე, უკრძალავს იყოს მსგავს სფეროში მოქმედი სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი.

# 9. რეორგანიზაცია

მეწარმეთა შესახებ ახალი აწესრიგებს სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმის რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანის საკითხებს.

1. გარდაქმნა

ახალი კანონი აწესრიგებს საზოგადოების გარდაქმნის პროცედურას, გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილებისთვის საჭირო უმრავლესობას (ერთხმად ან გარკვეულ შემთხვევაში 3/4-ის უმრავლესობა) და ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას; კანონი ასევე ადგენს, რომ პარტნიორების წილი გარდაქმნილ სამეწარმეო საზოგადოებაში უნდა იყოს იმ წილის პროპორციული, რაც მათ ჰქონდათ წინა სამეწარმეო საზოგადოებაში. ამ წესიდან გადახვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ამას კენჭისყრაში მონაწილეები ერთხმად დაადგენენ.

2. შერწყმა/გაყოფა

ახალი კანონი აწესრიგებს საზოგადოებების შერწყმისა და გაყოფის პროცესს, მათ შორის, ადგენს შერწყმის და გაყოფის სხვადასხვა სახეებს, კერძოდ:

- დაყოფა დაფუძნებით - როდესაც დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოება თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილებს გადასცემს ორ ან მეტ ახლადდაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას ისე, რომ დაყოფილი საზოგადოება წყვეტს არსებობას;

# 9. რეორგანიზაცია

- დაყოფა შეძენით - როდესაც დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოება თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილებს გადასცემს ორ ან მეტ არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას ისე, რომ დაყოფილი საზოგადოება წყვეტს არსებობას;
- გამოყოფა დაფუძნებით - როდესაც დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოება თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილს/ნაწილებს გადასცემს ერთ ან მეტ ახლადდაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებას ისე, რომ დაყოფილი საზოგადოება არ წყვეტს არსებობას;
- გამოყოფა შეძენით - როდესაც დაყოფილი სამეწარმეო საზოგადოება თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილს ან ნაწილებს გადასცემს ერთ ან მეტ არსებულ სამეწარმეო საზოგადოებას ისე, რომ დაყოფილი საზოგადოება არ წყვეტს არსებობას;
- შერწყმა მიერთებით - როდესაც ერთი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (მიერთებული სამეწარმეო საზოგადოება) მიუერთდება სხვა სამეწარმეო საზოგადოებას (შემძენ სამეწარმეო საზოგადოებას) ამ უკანასკნელისათვის მთელი თავისი აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის გზით;

# 9. რეორგანიზაცია

- შერწყმა გაერთიანებით - როდესაც ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება (გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოება) გაერთიანდება ახალი სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნების გზით, რომელსაც გადაეცემა გაერთიანებული სამეწარმეო საზოგადოებების სრული აქტივები და ვალდებულებები. შერწყმის/გაყოფის პირობების დადგენის და პარტნიორებისა და კრედიტორების ინფორმირების მიზნით, კანონი ითვალისწინებს შერწყმის/გაყოფის გეგმის შედგენას და გამოქვეყნებას, ხოლო სააქციო საზოგადოებებისთვის, დამატებით - შერწყმის/გაყოფის გეგმის შემოწმებას დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და შერწყმის/გაყოფის ანგარიშის შედგენას. კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ დაცვას რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების კრედიტორებისთვის და ანიჭებს მათ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას, თუკი რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების პარტნიორთა დაცვის შემოთავაზებულ მექანიზმზე. კერძოდ, იმ პარტნიორებს, რომლებმაც რეორგანიზაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ენიჭებათ საზოგადოებისგან მათი წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის უფლება.

# 10. სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტა

ახალი კანონი  აწესრიგებს ინდმეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესს და გამოყოფს არსებობის შეწყვეტის სამ სტადიას:

- საზოგადოების დაშლა, როგორც არსებობის შეწყვეტის ინიციირების სტადია;
- საზოგადოების ლიკვიდაცია, როგორც აქტივების რეალიზაციის, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის გადანაწილების სტადია;
- რეგისტრაციის გაუქმება, როგორც საზოგადოების მიერ არსებობის შეწყვეტის საბოლოო სტადია.

## 1.საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. სიახლეს წარმოადგენს პარტნიორის სარჩელის საფუძველზე სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს მიერ. აღნიშნული რეგულაცია ემსახურება საზოგადოებაში შექმნილი ჩიხური სიტუაციის გადაწყვეტას, როდესაც, მაგალითად, პარტნიორი უხეშად არღვევს მის მოვალეობებს ან საზოგადოებაში ხმათა თანაბარი გადანაწილების გამო პარტნიორები ვეღარ იღებენ გადაწყვეტილებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეუძლებელს ხდის საზოგადოების მიზნის მიღწევას.

# 10. სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტა

მსგავს სიტუაციაში კანონპროექტი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე, ამიტომ, კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

## 2. საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

## 3. საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

ახალი კანონისა თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის განაწილების შემდეგ ხდება საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება, როგორც მისი არსებობის შეწყვეტის ბოლო ეტაპი. ამასთან, კანონი ისეთ შემთხვევასაც აწესრიგებს, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

# მადლობა ყურადღების-თვის!

FEC - Financial Experts Corporation
Email - info@fec.ge